საქ. რთ. მუშ. სოც.-დემ. მუშ. პარტია

წერ. ილ. მეხსა

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 60,000 მან. წინ...
4 „ 30,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 407 ხუთშაბათი, თებერვლის 1 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000

ყოველდღიური სპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ეღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს თებერვლის 1

ცხვირის ფუარო

1—1

## მეაბრეშუმეობა

მეაბრეშუმეობა საქართველოში დიდ კრიზისს განიცდის. რაა—ამის მიზეზი? მეაბრეშუმეობას არც სათბობი მასალა უნდა, რომ ვერ გვეშოვნა ის, არც ნედლი მასალის უქონლობას შეუშლია ხელი, არც მანქანების გაცვეთას, არც სპეცების უყოლობას და სხვა ასეთებს, რამაც შეაფერხა და დასცა სხვა სამეურნეო—სამრეწველო დარგები. მაშ სად უნდა ვეძიოთ მიზეზი? ცხადია მონოპოლიის პირობებში.

აბრეშუმის პარკზედ სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებას მიზნად ჰქონდა მეაბრეშუმეთა ჩარჩების და სპეკულიანტების კლანჭებისაგან დახსნაც. მან ამ მიზანს მიაღწია, მაგრამ მონოპოლიის პირობები ვერ გამოდგა ისეთი, რომ ხელი შეეწყო მეაბრეშუმეობის წარმატებისათვის, რისთვისაც აუცილებელი იყო თვით მეაბრეშუმეთა ნივთიერი დაინტერესება.

ამ საკითხს ეხება ამხ. მალ. ტოროშელიძე გაზ. „ზარია ვასტოკაში“ და ამბობს სხვათა შორის: „უბედურება იმაშია, რომ მან (მეაბრეშუმემ) არ იცის,—რამდენს მიიღებს ის და რამდენს მიიღებს მის ხარჯზედ სახალმწიფო, როგორც მონოპოლისტიო“ ასეთი მდგომარეობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს დაუყონებლივ, თუ გვინდა ეს მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმე არ გავერანდეს. „პარკის გასაღების შემდეგო, დასძენს ავტორი, მონოპოლისტმა (სახელმწიფომ) გარდა საორგანიზაციო ხარჯების დაფარვისა, უნდა დაკმაყოფილდეს მოსაგების მცირე ნაწილით იმავე წარმოების გაუმჯობესებისათვის და უდიდესი ნაწილი მისცეს მეაბრეშუმესო“.

რასაკვირველია ეს ასე უნდა მოეწყოს, და თუ აქნამდე არ იყო ძლიერ სამწუხაროა. საჭიროა ამ საკითხს ეხლავე ყურადღება მიაქციოს სათანადო ორგანოებმა და თავის დროზედ იქნეს გამომუშავებული მეაბრეშუმეობისათვის ხელსაყრელი პირობები.

მეაბრეშუმეობა ერთის შეხედვით უმნიშვნელო ეგონება კაცს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებით ისეთ დარგებთან შედარებით, როგორიც არის მევენახეობა ან, თუ გნებავთ, ჭიათურის მარგანეცი. მაგრამ ეს გაუგებრობის მიზეზია. ციფრებით შეიძლება იმის დამტკიცება, რომ მებრეშუმეობის მეტი სარგებლობა მოაქვს სახელმწიფოსათვის, ვინემ ორ დასახელებულ წარმოების ცალ-ცალკე. მაგ. ომამდე საქართველოდან გაჰქონდათ 2—2 ნახ. მილიონი მანეთის პარკი. ამავე ღირებულებას გაჰქონდათ ღვინოც. რაც შეეხება მარგანეცს მისი გაზიდვა უდრიდა დაახლოვებათ 50 მილიონ ფუთს წლიურად და ღირდა ფუთი 5—6 კაპეიკი, ე. ი. სულ გაჰქონდათ წლიურად 2 ნახ.—3 მილიონის მარგანეცი. აქედან თუ გამოვაკლებთ უცხო ექსპორტიორების მოსაგებს, ცხადია საქართველოში რჩებოდა 2 მილიონზედ ნაკლები. ამ რიგად მეაბრეშუმეობა, მევენახეობა და მარგანეცი თითქმის ერთნაირ სარგებლობას აძლევს ჩვენ ქვეყანას. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში საწარმოო ხარჯებს და იმ დიდ ძირითად კაპიტალს, რომელიც აუცილებელია როგორც მეღვინეობისათვის, ისე მარგანეცის მრეწველობისათვის, მაშინ ცხადი იქნება უპირატესობა მეაბრეშუმეობისა, რომელსაც თითქმის არავითარი კაპიტალი არ უნდა დ არც მუშა ხელს აბანდებს. ქალებსა დ ბავშებს ისე, სხვათა-შორის მოჰყავთ აბრეშუმი და სხვა საქმეებს არა სცდებიან. მარგანეცი კი ათასობით მუშა ხელს თხოულობს. აი ამიტომ ვამბობთ, რომ მეაბრეშუმეობას მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი რესპუბლიკისათვის, რომლის სავაჭრო ბალანსის აქტივს ყოველ წლიურად შემატებს 2 მილიონ მანეთს.

მაშ მეტი ყურადღება მეაბრეშუმეობას!

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**მდგომარეობა რურში.** ინგლისის გაზეთების ცნობებით, რურის ოლქში მეტად მძიმე მდგომარეობა არის შექმნილი. მარკის კურსის დაცემა ძლიერ აფერხებს ვაჭრობას. გერმანიას კი დასჭირდება უახლოეს დროში საზღვარ გარეთიდან შეიტანოს დიდი პარტია სურსათ-სანოვაგისა. თუ ეს შეუძლებელი შეიქმნა, მაშინ უნდა მოველოდეთ მეტად მძიმე შედეგებს. დიდი პარტია ქვა-ნახშირისა, რომელიც დამზადებული იყო რურში ბავარიაში გასაგზავნად, საფრანგეთის ხელისუფლებმა ჩამოართვეს და აპირებენ საფრანგეთში გაგზავნას. გერმანიის მრეწველები, მოხელეები და მუშები დიდ წინააღმდეგობას უწევენ საფრანგეთის ასეთს პოლიტიკას. თუ გერმანეთის მთავრობამ განაგრძო ასეთი გზით წინააღმდეგობა, ფრანგებს გან ზრახვა აქვთ რეკვიზიცია უყონ მათთვის საჭირო ნახშირსა და აღუკრძალონ ყოველგვარი გატანა გერმანიის არა ოკუპაცია ქმნილ ოლქებში. საფრანგეთის მოხელეები აცხადებენ, რომ საფრანგეთი ბერლინზედაც გაილაშქრებს, თუ გერმანეთის მთავრობა არ შესცვლის თავის პოზიციას. „ტაიმსის“ პარიზელი კორესპონდენტი, უკეთებს რა კომენტარიებს მდგომარეობას, სწერს: „ეკონომიური რეპრესიები წარმოადგენენ მოჯადოებულ წრეს. შეუძლებელია გათვალისწინებული იქმნეს, თუ რით დამთავრდება ყოველივე ეს, მანამ, სანამ არ გადმოხეთქავს საერთო კატასტროფა. შესაძლებელია მხოლოდ გადაჭრით ითქვას, რომ არც გერმანეთის მთავრობასა და არც საფრანგეთისას არ სურთ რაიმე დათმობაზე წავიდნენ“. ფრანგებს განზრახვა აქვთ რურში შემოიღონ ახალი ფულის ნიშნები მუშებთან ანგარიშების გასასწორებლად; ამის შესახებ „ტაიმსის“ კორესპონდენტი სწერს: „გამოურკვეველია, საიდან მიიღებენ ფრანგები ფულს მემაღაროებთან ანგარიშების გასასწორებლად. საზღვარ გარეთის ექსპორტერები უარს აცხადებენ გაგზავნონ რურში სურსათი, ჩვეულებრივად მიღებულ მოკლე ვადიან კრედიტის პირობებშიაც კი ფრანგებს არაფრთხილს მოქმედებას შეუძლია ყოველ წუთში გამოიწვიოს აშკარა კონფლიკტი. მდგომარეობა მეტად სერიოზულია, ვინემ ეს იყო ოდესმე“.

**რურის ოლქის ეკონომიური მნიშვნელობა.** რურის ოლქის მცხოვრებთა რაოდენობა რეინის ოლქთან ერთად, რომლის ოკუპაცია მოახდინეს ფრანგებმა, 1918 წლის 11 ნოემბერს შეადგენდა 9 ნახ. მილიონს, ან 16 პროც. მთელი გერმანიის მცხოვრებლებისას. გერმანეთს იმედი ჰქონდა ამ წელში მიიღებდა სულ 115 მილიონ ტონს ქვანახშირს; აქედან 100 მილიონი ან 92 პროც. უნდა მიეღოთ რურისა და რეინის ოლქებიდან. გასულ წელში ამ ოლქებმა გერმანიას მისცეს 3 მილიონი ტონი რკინა, რაც შეადგენს 41 პროც. მთელი წარმოებისას, და 8,2 მილიონი ტონი (ან 74 პრც. თუჯი; 91.000 ტონი (ან 44 პროც.) თუთიის მადანი; 43.000 ტონი (ან 40 პრც. კალა. ამ ოლქების რკინის გზებზე ტარდებოდა 70 პროც. მეტი გერმანიის მთელი რკინის გზის ხაზების ყველა ტვირთისა.

1920 წლის ცნობებით, გერმანეთის 6.967.970 მუშებისაგან ამ ოლქებში სცხოვრობენ 1 627..396 ან 23,3 პროც. მთელი მუშებისა. გარდა ამისა, ამ ოლქებში მოთავსებულია გერმანიის ქიმიური ქარხნების უმეტესობა, რომელნიც მეტად დიდ როლს თამაშობენ გერმანიის წარმოებაში.

ყველა ამ ცნობების მნიშვნელობა უფრო გაფართოვდება, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებებს, რომ ზემო სილეზიის გერმანიიდან გამოყოფის შემდეგ, საიდანაც ის ღებულობდა ქვანახშირს, აგრეთვე სარეპარაციო მონოპოლიების გამო (თვიურად 2 მილიონი ტონი), გერმანიაში, ჯერ კიდევ რურის ოლქის ოკუპაციამდე, ქვა-ნახშირის დიდი ნაკლულოვანება იყო.

**ბრიტანეთის მუშათა პარტიის ლიდერები მდგომარეობის შესახებ.** ახალი წლის დასაწყისი ინგლისისათვის აღინიშნა საფრანგეთთან კონფლიქტის გამწვავებით და საერთაშორისო მდგომარეობის გართულებით. პარიზის კონფერენციის ჩაშლამ, ოსმალების მიერ სევრის ხელშეკრულების უკუგდებამ, ლოზანას კონფერენციის ვითარებამ და რურის ამბებმა ბრიტანეთის პოლიტიკოსები გამოუვალ ქუჩაბანდში მოაქცია. ბრიტანეთის ბურჟუაზიული პრესა ცდილობს დაუმტკიცოს ყველას, რომ საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის მეტად მეგობრული დამოკიდებულება არის. მაგრამ ლიბერალები და კონსერვატორები მეტად შეშფოთებულნი არიან შექმნილი მდგომარეობით და იძლევიან ერთსა და იმავე კითხვას „რა ვქნათ“?

ამსტერდამისა და მეორე ინტერნაციონალის ბელადები, რომელნიც ერთგვარად იცავენ ყოველთვის თავიანთი ბატონების ინტერესებს, ეძებენ გზებსა და საშუალებებს, რომ გამოიყვანონ კაპიტალიზმი მომწყვდეულ ჩიხიდან.

მისტერ კლაინსი, ყოფილი ბელადი ბრიტანეთის მუშათა პარტიისა, გამოსთქვამს „სრულს იმედს იმაზე, რომ სამწუხარო განხეთქილება საფრანგეთსა და ინგლისს შორის, რომელმაც მიიყვანა მოლაპარაკების შეწყვეტამდე ამ ორ მხარეს შორის, შესაძლებელია გამოსწორებულ იქნეს ან ამერიკის ინტერვენციით ან და ხალხთა ლიგის აქტიურ ჩარევის საშუალებით“.

მისტერ რ. მაკდონალდი, ახლანდელი ბელადი ბრიტანეთის მუშათა პარტიისა. პირველ რიგში აყენებს წინადადებებს, რომელიც წამოყენებული იყო ყვითელ ინტერნაციონალებისაგან. ის აცხადებს შემდეგს: „მე კვლავ განვაგრძობ იმ შეხედულებების დაცვას, რომელიც წამოაყენა სამი წლის წინად მუშათა კლასმა. პირველი, რეპარაციები, უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული; მეორე, როგორც რაოდენობის მხრით, ისე ხარისხის მიხედვითაც ეს სეპარაციები ისე უნდა იყოს განაწილებული, რომ გერმანიამ შესძლოს აიტანოს თავის მხრებზე, ხოლო იმ ქვეყნებმა, რომელთაც ეკუთვნის ისინი (რეპარაციები) მიიღონ. მესამე, უნდა მხედველობაში იქნას მიღებული არა მარტო ის, თუ გერმანიას საერთოდ რამდენის გადახდა შეუძლია, არამედ ისიც, თუ გერმანია რამდენს შესძლებს გადაიხადოს, როდესაც აღადგენს თავის მეურნეობას. მაშასადამე, გერმანიას ესაჭიროება მორატორიუმი. ბოლოს, რაც შეეხება ჩვენს სარეპარაციო პოლიტიკას, ჩვენ ყოველგვარ სირცხვილის გარეშე უნდა გავაგებინოთ მთელს ქვეყანას, რომ ჩვენ იძულებული ვართ დავიცვათ ჩვენი საკუთარი ნაციონალური ინტერესები და არ შეგვიძლია იგი მსხვერპლად შევსწიროთ იმისთვის, რომ გავამაგროთ წონასწორობა ან დავიცვათ კავშირი საფრანგეთთან ან რომელიმე სხვა ქვეყანასთან“.

## ბურჟუაზიის იმედები

ახალი წლის დასაწყისმა ახალი იმედები გაუღვიძა ემიგრაციაში მყოფ რუსეთის ბურჟუაზიას. ისინი დღეს კიდევ ვერ დარწმუნებულან იმაში, რომ რუსეთის ბურჟუაზიამ სამუდამოდ დაჰკარგა პოლიტიკურ ბატონობის შესაძლებლობა რუსეთში და დღეს სასიკვდილო აგონიას განიცდის. მუშურ-გლეხურმა დიქტატურამ სასიკვდილო მახვილი ჩასცა ბურჟუაზიის არსებობას და მთელი ძალა-უფლება გადაეცა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ რევოლიუციონურ მშრომელ ხალხს. რუსეთის ბურჟუაზიული კლასების პოლიტიკური სიკვდილის შემდეგ, ჯერი მიმდგარი არის ევროპის ბურჟუაზიაზე, რომელიც თავისი უხამსი პოლიტიკის წარმოების წყალობით გამოუვალ მოჯადოებულ წრეში მოემწყვდა და არ აქვს შესაძლებლობა თავი დააღწიოს გართულებულს საერთაშორისო კრიზისებსა და ეკონომიურს ანარქიას.

დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობას გარკვევით ახასიათებს ის დიდი და მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელსაც ადგილი აქვს, როგორც რევოლიუციონურ ქვეყნებში, ისე კაპიტალისტურ მსოფლიოში. ოთხი წლის სამოქალაქო ომებისა და ეკონომიური რღვევა-განადგურების შემდეგ, საბჭოთა რესპუბლიკებმა შესძლეს თავიანთი ენერგიული შრომის საშუალებით თავისუფალი პირობების მოპოვება, რამაც ხელი შეუწყო ამ რესპუბლიკების წარმატებისა და აყვავების გზაზე დაყენებას. შინაგანი აღმშენებლობისათვის ზრუნვა და ფართე ეკონომიურ-პოლიტიკური პროგრამით გამოსვლა საბჭოთა მშენებლობის სარბიელზე, ეს არის დამახასიათებელი მომენტები ჩვენი რესპუბლიკების ცხოვრებისა. ეკონომიურს ფრონტზე რევოლიუციონურმა ქვეყნებმა შესძლეს მეტად მძიმე კრიზისების გადატანა და დღეს მხარე საგრძნობ სამეურნეო აღორძინების პროცესში არის ჩაბმული. მთელს რიგს სამეურნეო და სამრეწველო დარგებში ჩვენი რესპუბლიკები გამოვიდნენ მწვავე კრიზისებიდან და ეკონომიურ საფუძვლები მუშურ-გლეხური ხელისუფლებისა მტკიცდება და მაგრდება. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო დოვლათის დაგროვებასა და ქვეყნის წარმატების საქმეს ისტორიაში არ გაგონილი სიმშილობა, რომელმაც მოიცვა მთელი საბჭოთა რუსეთი და რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ ყოველი ჯურის კონტრრევოლიუციონერები მშრომელთა ხელისუფლების დამარცხების საქმეში, დღეს სავსებით ძლეულია და სურსათ-სანოვაგის კრიზისმა დაჰკარგა თავისი მწვავე ხასიათი. უფრო მეტი, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს იმედი აქვს ახალ მომავალში თვით გაუწიოს სანოვაგით დახმარება გაჭირვებაში მყოფ გერმანიის პროლეტარიატს. ეს არის მეტად დიდი რევოლიუციონური ღირებულების ნაბიჯი, რომელიც გამოიწვია ენერგიულმა მუშაობამ და ბრძოლამ ყოველს ფრონტზე. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ეკონომიური ცხოვრება და პირობები ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება დღეს, ვინემ ეს იყო ამ 2—3 წლის წინად.

რაც შეეხება რესპუბლიკების ცხოვრების პოლიტიკურ მხარეს აქ წარმატება და მდგომარეობის გაუმჯობესება ყველასათვის თვალსაჩინოა. რესპუბლიკების შაგნით პოლიტიკურად მათი არსებობა განმტკიცდა, ნორმალურს პირობებში ჩამოყალიბდა: შინაგანი კონტრრევოლიუცია აღმოფხვრილია და ანტი საბჭოთა პარტიების დემორალიზაცია თავის ლოღიკურს დასკვნამდე არის დაყვანილი. აპარატი საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილებისა მტკიცდება და ელასტიური ხდება; მისი მოწინააღმდეგე ძალები კი იშლებიან და გახრწნის პროცესს განიცდიან. მეორეს მხრით ფართო მშრომელი მასა თანდათან ითვისებს საბჭოთა წყობილებას და იღებს მას როგორც აუცილებელს ფორმას მშრომელთა ხელისუფლებისათვის. მემარჯვენე სოციალისტების ლოზუნგებმა დამფუძნებელი კრებისა და პარლამენტარიზმის შესახებ, სამუდამოდ დაჰკარგეს ნიადაგი მშრომელთა აპარტი მასებში და საბჭოთა წყობილება გაიხადეს თავიანთი არსებობის მთავარ მიზნად და არის უდიდესი გამარჯვება არსებული ხელისუფლებისა.

მაგრამ ეს გამარჯვებები არ ამოიწურება მარტო შინაური ცხოვრების სარბიელით. საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში საბჭოთა რესპუბლიკებმა შესძლეს შემზღუდველ რკალის დარღვევა და მსოფლიოსთან დამოკიდებულების გაბმა. როგორც დიპლომატიურს ურთიერთობაში, ისე ეკონომიურ-ვაჭრობის სფეროში, ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯები არის გადადგმული. დღეს საბჭოთა რესპუბლიკები ერთ დიდ საერთაშორისო ცნებად შეიქმნენ და მის მოთხოვნილებებს კაპიტალისტური ქვეყნები იძულებულნი ხდებიან ანგარიში გაუწიონ.

ასეთია ის მთავარი მომენტები, რომელსაც განიცდიან რევოლიუციონური ქვეყნები. დადებით შემოქმედებით მუშაობა და წარმატება ყოველს ფრონტზედ აშკარა და ნათელი ხდება არა მარტო საბჭოთა მოღვაწეებისათვის, არამედ მისი მოწინააღმდეგებისათვისაც.

რა ხდება კაპიტალისტურს ქვეყნებში?. როგორ მომენტებთან გვაქვს ჩვენ იქ საქმე? საერთაშორისო ომმა და მისმა შედეგებმა მეტად გამოუვალი მდგომარეობა შეჰქმნა კაპიტალისტური ქვეყნე-

ბისათვის. ომმა და რევოლიუციამ დაშალა ძველი კაპიტალისტური ეკონომიკის საფუძვლები და პოლიტიკური სწონასწორობა დაარღვია. ასეთს პირობებში შეუძლებელი შეიქმნა იმპერიალისტური მეთოდებით ზავის ჩამოგდება და მშვიდობიანობის აღდგენა. იმპერიალისტური ზავი—საერთაშორისო ომის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ვერსალისა და სევრის საზავო ხელშეკრულებების ნიადაგზედ დაუსრულებელ კონფლიქტები შეიქმნა მსოფლიოს ყველა ცენტრებში. ინტერესთა წინააღმდეგობა და ომები თან სდევს დღევანდელს კაპიტალისტურს მსოფლიოს. გამარჯვებულმა ანტანტამ ვერ შესძლო მშვიდობიანობის აღდგენა, პოლიტიკური სწონასწორობის შექმნა და ვერ განამტკიცა ფართო ეკონომიური წარმატება. კრიზისი კაპიტალისტური მეურნეობისა და ქვეყნების დღეს აშკარაა ყველასათვის. რურის ამბები და ოსმალეთის ვითარება ნათლად ამოწმებენ იმას, თუ რამდენად უძლურია კაპიტალისტური მსოფლიო თავი დააღწიოს თავისი მეთოდებით შექმნილ მდგომარეობასა და მოუტანოს კაცობრიობას მშვიდობიანობა. ამ გარემოებას ზედ ერთვის ის ღრმა სოციალური კონფლიქტები პროლეტარიატსა და კაპიტალს შორის, რომელმაც თავი იჩინა, როგორც გამარჯვებულ ქვეყნებში, ისე დამარცხებულ სახელმწიფოებში, და რომელიც დრო გამოშვებით სამოქალაქო ომის სახით გადმოხეთქავს ხოლმე, ყოველივე ესენი არის უტყუარი ფაქტები კაპიტალისტური მსოფლიოს ცხოვრებისა, რომელიც ნათლად აშლავნებენ იმას, თუ რით არის დაავადებული ძველი კაცობრიობა.

ასეთია ორი მსოფლიოს უტყუარი სურათი. მაშინ, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკები მტკიცდებიან და მაგრდებიან ყოველს ფრონტზე. კაპიტალისტური ქვეყნები წინააღმდეგობათა გამოუვალ რკალში არიან მომწყვდეულნი და თავი ვერ დაუღწევიათ საშინელ ანარქიებისა და მოსალოდნელ ომისათვის.

ასეთი მდგომარეობის შექმნა ორ მოწინააღმდეგე მსოფლიოში, ნათელს ხდის იმას, თუ ვის მხარეზედ არის გამარჯვებას შანსები და ვის მოელის აუცილებელი განადგურება.

ეს ხუთი წელზე მეტია მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიული წრეები ყვითელ ინტერნაციონალის წევრებთან ერთად განუწყვეტელად გაჰყვირიან საბჭოთა რესპუბლიკების დამხობის შესახებ, რასაც ყოველ დღე მოელიან. ისტორიული ცხოვრების ვითარებამ ამის საწინააღმდეგო ფაქტების წინაშე დააყენა ისინი: მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ გიგანტიურის ნაბიჯებით წარმართა წინ თავისი ცხოვრება და ნიადაგი გამოაცალა თავისი საბჭოში ყოველგვარ ანტი-საბჭოთა ძალებს. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ანტი-საბჭოთა პარტიები და ჯგუფები იმედებს მაინც არ კარგავენ და ახალ ახალ პროგრამებითა და თეორიებით გამოდიან საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ, დაწყებული მემარჯვენე კადეტებითა და გათავებული მემარცხენე სოციალ-დემოკრატებით, ეს ანტი-საბჭოთა ელემენტები ერთი თეორიისა და პროგრამის მატარებელ ხროვას წარმოადგენენ.

დამხობა საბჭოთა სისტემის და აღდგენა კაპიტალისტური წყობილებისა მთელი თავისი ატრიბუტებით,—აი მათი პროგრამის მთავარი საფუძვლები. კაპიტალიზმისა და პარლამენტარიზმის რესტავრაცია, აი როგორი პროგრამით ევლინებიან ჩვენი მემარჯვენე ელემენტები.

მაგრამ საკითხის სიმძიმის ცენტრი მათთვის, პროგრამის გამომუშავებაში კი არ არის, არამედ საბჭოთა წყობილებიდან კაპიტალისტურ ნიადაგზედ გადასვლის საკითხში. როგორის გზითა და საშუალებით არის შესაძლებელი საბჭოთა ხელის უფლებიდან პარლამენტარიზმის აღდგენა?—აი ის მთავარი ტაქტიკური კითხვა, რომლითაც დაინტერესებულნი არიან დღეს ანტი-საბჭოთა პარტიები დაწყებული მილიუკოვიდან და გათავებული მარტოვისა. ამ კითხვებშიაც მათ შორის არ არსებობს დიდი განსხვავება.

როგორც ვიცით ამდენ ხანს ეს პარტიები შინაური აჯანყებებისა და ინტერვენციის საშუალებით ცდილობდნენ თავიანთ მიზნების მიღწევას. ორივე ეს საშუალება ხელიდან გამოეცალით მათ ჯერ ჯერობით.

ახლა მუშავდება ახალი ტაქტიკა და ახალი თეორია, არსებითად ისინი ღრმად არის შეწონილი ძველს მეთოდებთან.

როგორც ვიცით საბჭოთა ხელისუფლებმა მეტად დიდი დისციპლინა და მთლიანობა გამოიჩინეს თავიანთ მოღვაწეობის დროს. ეს იყო ერთი მთავარი მიზეზთაგანი იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გადაიტანა ამდენი შემოტევანი და გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლის ველიდან. ამას ვერ უარყოფენ მათი მოწინააღმდეგე პარტიებიც. მილიუკოვი თავის საახალწლო წერილში აღნიშნავს, რომ საბჭოთა მოღვაწეებმა იმდენად შეინარჩუნეს თავიანთი შინაგანი მთლიანობა, რომ თითქოს რუსეთის სინამდვილისათვის რევოლიუციის შინაგანი კანონი,—თან და თანობით მოსპობა ერთი მეორეს წინააღმდეგ მებრძოლ ჯგუფებისა,—შეუძლებელი შეიქმნა.

დღეს ამ ანტი-საბჭოთა პარტიებს მთელი თავიანთი იმედები კომუნისტური პარტიის შინაგანი დაშლაზე გადააქვთ რაკი ინტერვენცია და აჯანყებები ვერ გამოდგენ მთავარ ფაქტორებად არსებულ ხელისუფლების დამხობის საქმეში, მათ ახალი თეზისები შეიმუშავეს კომუნისტების დაშლის შესახებ. ამ თეორიას ერთნაირის ენერგიით იცავენ კადეტებიცა და მენშევიკებიც.

მენშევიკები დალიანა და მარტოვი ამ თეორიის მიხედვით აშენებენ თავიანთ ტაქტიკას. მათ სჯერათ, რომ შინაგანი წინააღმდეგობა და ახლო ეკონომიური პოლიტიკა ლიკვიდაციის გზაზე დააყენებს კომუნისტურ პარტიას და მოწინააღმდეგე პარტიებს დასჭირდებათ მცირეოდენი ძალდატანების გამოჩენა, რომ გაანთავისუფლონ რუსეთი კომუნისტების დიქტატურისაგან და აღდგენილ იქმნეს კაპიტალიზმი და პარლამენტარიზმი.

მიულიუკოვის საახალწლო იმედებიც ამ თეორიაზედ არის აგებული. მათ იმედი აქვთ, რომ კომუნისტები წაიჩხუბებიან, ერთი მეორეს დაესევიან და ასეთს პირობებში გამარჯვება მოწინააღმდეგებს ღირსებათ. თუ ამდენხანს, მილიუკოვის აზრით: კომუნისტები ინახავდნენ შინაგან წინააღმდეგობებს და ამით არღვევდნენ რევოლიუციის მთავარს კანონს,—„უკანასკნელს ხანებში, უკვე სჩანს ნიშნები, რომელნიც სპობენ ამ გამონაკლისს. თავიანთ ბრძოლაში ხელისუფლების შენარჩუნებისათვის, ბოლშევიკები მივიდნენ იმ მდგომარეობამდე, რომლის დროსაც შენარჩუნება მთლიანობისა შემდეგ შეუძლებელია“.

ასე მსჯელობს რუსეთის ბურჟუაზიის იდეოლოგია და მას ბანს აძლევენ ყოველი ჯურის მემარჯვენე სოციალისტები. საახალწლო იმედების შესაქმნელად ასეთი ილიუზიების გამომუშავება მისაღებად უნდა ჩაითვალოს რუსეთის ემიგრანტებისათვის: სხვა გზა არ არსებობს. მაგრამ ფაქტიურ მდგომარეობისა და აპლობელი პერსპექტივების გასაგებად ასეთი თეორიები მეტად დიდ „რისკს“ წარმოადგენს.

არასოდეს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას თავისი შინაგანი სიძლიერე და მთლიანობა არ უგრძვნია ისე მძლავრად, როგორც დღეს. ამ მთლიანობას ამაგრებს ის აშკარა მომენტები, რომელსაც ადგილი აქვს, ერთის მხრით, საბჭოთა ქვეყნებში და მეორეს მხრით, კაპიტალისტურ მსოფლიოში.

საბჭოთა ხელისუფლებამ იგემა თავისი პოლიტიკური ნაყოფი და დღეს გაორკეცებული ენერგიით სცდილობს იგი თავის ლოღიკურ დასკვნამდი მიიყვანოს.

Sarus.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთი

**უპარტიო ახალგაზრდობის კონფერენცია.**

**მოსკოვი.** 31 იან. წითელ იარიის (ასტრახანის გუბ.) უპარტიო ახალგაზრდობის კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ის სალამს უძღვნის ახალგაზრდობის კავშირს ფლოტიისათვის დახმარების გაწევის გამო და გამოსთქვამს პირველ მოთხოვნილებისთანავე მეზღვაურთა რიგების შევსების მზათ ყოფნას.

**პეტროგრადის სკოლები.**

**მოსკოვი.** 31 იან. პეტროგრადის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობამ ომის წინ არსებულ ნორმას მიაღწია.

**ტ ო რ ფ ი.**

**მოსკოვი.** 31 იანვარი. პეტროგრადის ტრამვაის ელექტრო-სადგურზე იყო წარმოებული ტორფის სათბობ-მასალათ გამოყენების ცდა. ამისათვის ტორფი განსაკუთრებულ ღუმელებში იწვის. ცდამ ბრწყინვალე შედეგი მოიტანა. აღმოჩდა რომ ჩრდილოეთის რაიონის ტორფს შეუძლია საუკეთესო ინგლისურ ქვანახშირის მაგიერობა გასწიოს.

**მუშათა ფაკულტეტების ყრილობა.**

**მოსკოვი.** 31 იან. 15 თებერვალს მოწვეულია მე-2 სრ. რუსეთის მუშათა ფაკულტეტების ყრილობა.

**ყრილობა საბინაო აღმშენებლობის საკითხისათვის,**

**მოსკოვი.** 31 იან. ჯანმრთელობისა და შინ. საქმეთა სახ. კომ—ატები მე-2 სრ. რუსეთის საბინაო აღმშენებლობის საკითხისათვის ყრილობას იწვევენ.

**გამოგონების უფლება**

**მოსკოვი,** 31 იან. სრ. რუს. სახ. მეურნეობის საბჭომ გამოიმუშავა პროექტი ახალ კანონისა, რომელიც გამომგონს უთვისებს უფლებას საკუთარ შემოქმედების ნაყოფზე.

**გადასახადის ამოცანა**

**მოსკოვი.** 31 იან. 15 იანვრისათვის მთელ რუსეთის სივრცეზე გადასახადის შეკრების ასრულება 87 პროცენტს უდრის.

**სასურსათო თათბირი**

**მოსკოვი.** 31 იან. განათლების სახ. კომისარიატი 25 თებერვლისათვის იწვევს მე-5 სრ. რუსეთის სასურსათო თათბირს.

# ახალი ამბები

— **ვიჭოვნე** რუსთაველის პროსპექტზე. და შეუძლიან მიიღოს პატრონმა მსახიობმა ანკარამ: თავის ნივთები კოოპერატივ „მეურნე“-ში, დუშურაშვილთან.

— **სასკოლო გადასახადი.** ს. ს. ხაქ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის 20 დეკემბერს დამტკიცებულ დეკრეტის № 15 და ამა წლის 18 იანვრის დადგენილებით № 70, მარტო რესპუბლიკაში შემოღებულია საშკოლო გადასახადი, რომელიც უნდა იკრიბებოდეს ყოველწლიურად წლის დასაწყისში. გადასახადის აკრება დავალებული აქვს სოფლებში ყველა თემის აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო ქალაქებში, ქალაქის აღმასკომებს, რომლებიც ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 თებერვლისა შეუდგენ გადამხდელთა სიების შედგენას. დაწვრილებითი ინსტრუქცია სასკოლო გადასახადის შესახებ გამოქვეყნებული იქნება ამ დღეებში.

— **საბეითლო სადგურების გაერთიანება.** საქ. მეწად-მოქმედების კომისარიატმა მიმართა აზერბეიჯანის, აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების მიწად-მოქმედების კომისარიატებს, რათა გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი თათბირზე თბილისში 20 თებერვალს საბეითლო სადგურების გაერთიანების საკითხის შესახებ.

— **საქართველოს წვრილ წარმოებებში მომუშავე კავშირის ერთეულ წევრთა მოწესრიგება.** იმ მოსაზრების გამო, რომ წვრილ კერძო წარმოებებში შრომის პირობები მეტად მძიმეა და გაბნეულობისა და მრავალრიცხოვნობის გამო შეუძლებელია ხდება მათი მოწესრიგება შრომის ხელშეკრულების თანახმად: საქ. პროფ. საბჭოს სეკრეტარიატმა მუშათა ინტერესების დაცვის გასაადვილებლად, აუცილებელ საჭიროებად სცნო დეკრეტის გამოცემა შრომის კომისარიატს და საქ. პროფ-კავშირთა საბჭოს უფლების მინიჭების შესახებ რათა მათ დააწესონ თვის სამუშაო ხელფასის მინიმუმი ყველა კერძო წარმოებაში, იმ კავშირიდან დაწესებულ საშუალო განაკვეთის თანახმად, რომელშიდაც შედის წარმოება.

— **ყალბი საქონლის დამზადებელი ფაბრიკა.** სისხლის სამართლის ძიების ცენტრალურ სამმართველოში არსებულ ცნობების თანახმად, ტფილისში დაარსდა ფაბრიკა, რომელიც ამზადებს სხვა და სხვა ყალბ საქონელს, უმთავრესად პუდრა „იავას“, ბურჟუას საპარფიუმერიო ფირმისა. სისხლის სამართ. ცენტრ. სამმართველოს მიერ მიღებულ ზომებით აღმოჩენილ იქნა ხსენებულ ფაბრიკის ადგილმდებარეობა, 28 იანვარს, მომხდარ ჩხრეკის დროს სურპკარაპეტის დაღმართზე № 9, სახლში, ერვანდ სოგოიანცის ბინაზე აღმოჩენილ იქნა ყალბი პუდრა, რომელიც შესდგებოდა ცარცისაგან და სხვა კანისითვის მავნე ნივთიერებისაგან. გარდა ამისა აღმოჩენილ იქნა ეტიკეტები, პუდრის ყუთები, ფირმა „საგო“ და „ეკონომის“ ყავა და სხვა ყველა ეს ყალბი ნივთები საღდებოდა ბაზარზე დამზადებული ასი ყუთი პუდრი ინახება სისხლის სამართ. ძიების ცენტ. სამმართველოში, როგორც ნივთიერი დამტკიცებული საბუთი ფაბრიკის მეპატრონე სოგოიანცი მიიმალა, მის დასაპატიმრებლად მიღებულია ზომები მისი თანამონაწილენი დაპატიმრებულნი არიან.

# საქართველოს საგანგებო კომისიისაგან

**კონტრ-რევოლიუციონერების გადასახლება.**

საქ. საგანგებო კომისიის დადგენილებით საქართველოს საზღვრებიდან გადასახლებულია ქვემოდ დასახელებულ პოლიტიკურ პატიმართა ორი ჯგუფი, საიდანაც პირველი ჯგუფი შესდგება დაშნაკელებისაგან, რიცხვით 33 კაცი, რომელთაც ბრალი ედებათ აქტიურ არალეგალურ ანტი-საბჭოთა მუშაობაში; ეს

# განათლების საქმე საქართველოში

**(განათლების სახკომის ამხ. დ. კანდელაკის მოხსენებიდან *)**

ეს საკითხი პირველად დაისვა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე ამიტომ, შეიცავს კომისარიატის ორი წლის მოქმედების ანგარიშს.

მართალია ზოგიერთი ეტაპები, ამ საქმეში უარყოფილ იქმნენ ცხოვრების მიერ, მაგრამ მაინც ეს ეტაპები ისტორიულმა აუცილებლობამ დაბადა და მათზე დიდძალი შრომა, ძალღონე და დრო დაიხარჯა. აქვე უნდა ავღნიშნო აგრედვე, რომ კომისარიატის მუდმივმა უსახსრობამ და რესპუბლიკის მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ გვაიძულა შესამჩნევად შეგვეცვალა პირველი განზრახვანი: თვალსაჩინოდ შეგვეზღუდა გეგმა სასკოლო ცხრილის განვითარებისა, რამდენადმე შეგვეჩერებინა ტემპი ძირითადი რეფორმების გატარებისა და, რაც უმთავრესია, გადაგვედო ვადა მოზარდი თაობის სავალდებულო, საყოველთაო და უფასო სწავლების განხორციელებისა, თუნდაც იმ ზომით' რასაც შრომის სკოლის კურსი წარმოადგენს. აი ეს პირობები საქმის წარმოებას აბრკოლებდენ;

1. განათლების მუშაკთა მეტად მძიმე მატერიალური მდგომარეობა,—რაიცა შედეგია დაბალი სამუშაო ქირისა (ყველაზე დაბალი სამუშაო ქირა მთელ რესპუბლიკაში),—იწვევს ამ მუშაკების გაქცევას კომისარიატიდან. ეს მოვლენა უფრო გაბშირდა მაზრებში, სადაც პედაგოგი თავს ანებებს ხანგრძლივ პროფესიას და ხელს ჰკიდებს მიწის დამუშავებას.

2. დაბალი სამუშაო ქირა ხელფეხს უბორკავს განათლების სახალხო კომისარიატს და კავშირს, ჩაითრიონ თავიანთ მუშაობაში უფრო მცოდნე და აქტიური პედაგოგები და საშუალებას არ აძლევს მათ, მიაწოდონ როგორც ცენტრს, ისე უმთავრესად, მაზრებს საკმაო რიცხვი მომზადებული მასწავლებლებისა.

3. პედაგოგისთვის თითქმის არ არსებობს დასაზღვევი დახმარება, რადგან განათლების სახალხო კომისარიატს შეძლება არა აქვს თავის დროზე გადაუხადოს დამზღვევ კასას დასაზღვევი პროცენტები.

4. ქრონიკული დაგვიანება ჯამაგირებისა ყოველსავე ღირებულებას უკარგავს პედაგოგის სამუშაო ქირას, რადგან საყოველთაოდ სახმარებელი საგნების ფასები დღითი-დღე მატულობს.

ამ ბოლო დროს ჯამაგირების დაგვიანებამ განსაკუთრებით თავი იჩინა იმ სკოლებში, რომელთაც ტფ. ქალაქის აღმასკომი ინახავს, ადგილობრივ კი მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა.

5. პედაგოგის უიმისოდაც მძიმე მდგომარეობას უფრო აუარესებს მაზრებში ისეთი სასკოლო შენობების უქონლობა, რომელთაც შეეძლო სანიტარიის და ჰიგიენის ელემენტარულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მაინც.

6. ადგილობრივი აღმასკომები, სულ მცირე გამონაკლისით, არავითარ რეალურ დახმარებას არ უწევენ სახალხო განათლების განყოფილებებს.

7. ბევრ მაზრაში, რომელნიც სამოქალაქო და იმპერიალისტური ომების გამო დაზარალდნენ, დაქცეულია სკოლის შენობათა 60 პროცენტამდე.

8. სახსრის უქონლობა კომისარიატს შეძლებას არ აძლევს, მასწავლებელთა კურსების და ყრილობების მოწყობით, გააღრმაოს მუშაობა იმ მხრივ, რომ პედაგოგებმა შეითვისონ განსახორციელებელი რეფორმების აზრი და მისი ცხოვრებაში გატარების მეთოდები.

მაგრამ, მიუხედავად ზემოაღნიშნული დაბრკოლებებისა, მიუხედავად განათლების მუშაკთა საშინელი მდგომარეობისა, რომელიც გამოწვეულია ჯამაგირების სიმცირით და მისი დროზე მიუცემლობით, მიუხედავად რეფორმის გატარების სიძნელისა პედაგოგების ეხლანდელი შემადგენლობის დახმარებით, იმ პედაგოგებისა, რომელნიც, მცირე გამონაკლისით, კონსერვატიულ ელემენტს წარმოადგენენ და მტრული თვალით უყურებენ ყოველგვარ რეფორმას, მით უმეტეს კომუნისტური იდეით გაჟღენთილ რეფორმას, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სრულიად არ მოგვეპოვებიან მომზადებული კომუნისტი-პედაგოგები კომისარიატის პასუხსაგებ თანამდებობათათვის, მაინც ორი წლის განმავლობაში უდიდესი საქმე გაკეთდა: საძირკველი ჩაეყარა ახალ სკოლას, სკოლას—ცხოვრების მოთხოვნილებებთან დაკავშირებულს.

მოხსენების ბოლოში აღნიშნული იქნება ღონისძიებანი, რომელთა მიღებაც საჭიროა მუშაობის გასაღრმავებლად, სასურველ შედეგების მისაღწევად.

ეხლა კი აღვნუსხავთ ცალკე სამმართველოების მოქმედებას.

ასეთი სამმართველო დღეს ხუთია:

1. სოციალური აღზრდის სამმართველო.

2. პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლების სამმართველო.

3. სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველო.

4. სახელოვნო დაწესებულებათა სამმართველო.

5. საადმინისტრაციო-სამეურნეო სამმართველო.

1.

**სოციალური აღზრდის სამმართველო.**

მენშევიკების დროს საქართველოში იყო საკმაო რიცხვი როგორც მაღალ და დაბალ (ნორმალურ), ისე საშუალო სასწავლებლებისა. ნაწილი ამ სასწავლებლებისა მემკვიდრეობით დარჩა კავკ. სამოსწავლო ოლქისაგან, ნაწილი დაარსებულ იქნა განათლების სამინისტროს მიერ თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, ამასთან ძველ სასწავლებლებში მცირეოდენი რეფორმა იქნა შეტანილი. მთელი რეფორმა სკოლისა გამოიხატა იმაში, რომ უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი გამოჰყვეს გიმნაზიას (ისიც ყველგან არა), და სკოლები გააეროვნეს, ესე იგი შემოიღეს დედა ენაზე სწავლება.

მაგრამ სრულიად არ იზრუნეს საბავშო ლიტერატურის გამოცემისათვის დედაენაზე. თუმცა სამეცნიერო პედაგოგიკამ კარგა ხანია აღიარა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი როლი სკოლის ასაკამდე აღზრდისა, თუმცა ეკონომიური პირობები დაჟინებით მოითხოვდნენ ასეთი აღზრდისათვის საჭირო დაწესებულებების მოწყობას, მაგრამ სკოლის ასაკამდე აღზრდის საკითხი მაშინ ფიქრადაც არავის მოსვლია, თუ არ ჩავთვლით ტფილისის ქალაქის სასწავლო განყოფილების მიერ დაარსებულ ორ და რამდენსამე კერძო საბავშო სახლს. არსებობდა ტფილისში აგრეთვე ორიოდე კერძო თავშესაფარი, რომელთაც საქველმოქმედო დაწესებულებათა ხასიათი ჰქონდათ, მაგრამ მათ მატერიალურსა და სულიერს მდგომარეობაზე ლაპარაკიც კი მეტია.

ამ რიგად მენშევიკური სკოლა არსებითად დარჩა ძველ, სქოლასტიურ სკოლად, ცხოვრებას სრულიად მოწყვეტილ დაწესებულებად.

ასეთი იყო დაახლოვებით სასკოლო საქმის მდგომარეობა საქართველოში, როდესაც შესდგა განათლების სახალხო კომისარიატი.

სოციალური აღზრდის მთავარმა სამმართველომ, ანგარიში გაუწია რა საბჭოთა რუსეთის გამოცდილებას და ადგილობრივ სინამდვილეს და მატერიალურ საშუალებებს, იმ თავითვე არ დაიწყო ფართო და დიდი გეგმების განხორციელება. იგი ფრთხილად მიუდგა სასკოლო აღმშენებლობის საქმეს და ამით მიაღწია სკოლის ძირითად ცვლილებას ისე, რომ თვით სკოლა არ დაუნგრევია.

(გაგრძელება იქნება)

*) ეს მოხსენება ამხ. დ. კანდელაკმა გაუკეთა საქართველოს ცაკის საგანგებო სესიას. მოგვყავს შემოკლებით.

მუშაობა გამოიხატა მთელ რიგ არალეგალურ ორგანიზაციათა და ტერორისტულ ჯგუფების მომზადებაში, მცხოვრებთა და მოსწავლე ახალგაზრდობის შორის ორგანიზაცია „მიუტიუნის“ საშუალებით განუწყვეტელ აგიტაციასა და სხვა და სხვა ტერორისტულ ჯგუფთა და ბანდების მატერიალურ დახმარებაში. მეორე ჯგუფი შესდგება მენშევიკებისაგან—რიცხვით 34 კაცი, რომელთაც ბრალი ედებათ კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებაში, ეს მოქმედება გამოიხატა აქტიურ ანტი-საბჭოთა მუშაობაში, მთელ რიგ არალეგალურ ორგანიზაციათა და ჯგუფების მომზადებაში, მათ ხელმძღვანელობისა, მცხოვრებთა შორის მთელ რიგ ანტისაბჭოთა გამოსვლების და ორგანიზაციის მოწყობის საშუალებით განუწყვეტელ აგიტაციასა სხვა და სხვა პოლიტიკურ ბანდებისა—და ჩოლოყაშვილისათვის ხელმძღვანელობის, მატერიალურ და მორალურ დახმარების გაწევაში, ამ ბანდების თავიანთ მიზნებისათვის გამოყენებაში და საბჭოთა მუშაკების და კომუნისტების წინაალმდეგ ტერორისტულ აქტების მომზადებაში. გარდა ამისა დაპატიმრების ადგილას საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ აგიტაციის წარმოებაში, პატიმართა წაქეზებაში, რათა გაემართათ დებოშები და არ დამორჩილებოდენ ხელისუფლებას და აგრეთვე გამასწორებელ სახლიდან არალეგალურ ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში და მათთვის დირექტივების მიწოდებაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძირის გამომსათხრელად წარმოებულ მუშაობის დროს.

### 1 ჯგუფი.

1. მანთაგუნი ტიგრან კარაპეტას ძე, 2. გზირიანი აბრამ აკოფის ძე, 3. მოსინიანი შაქრო გრიგოლის ძე, 4. უმიკიანი უსიკ დავითის ძე, 5. გაზაზიანი ანა და ალექსანდრეს ასული, 6. გუკასიანი მუშელ აგაბეკის ძე, 7. სეირანიანი მიხეილისა უილის ძე, 8. ბასენტიანცი შავარშა ბაბუნის ძე 9. მელქუმიანი ამბარცუმ ოვანესის ძე, 10. სუკიანიანი საქო გრიგოლის ძე, 11. პანუნიკაანი აიკაკ კარაპეტის ძე, 12. პაპაიანი ნიკოლოზ აფრიმის ძე, 13) არუტიუნიანი ტეფანე ნიკოლოზის ძე, 14) ჯამიკონიანი არმენიკ სტეფანეს ძე, 15) ტერ-სტეფანიანი გარეგინ, 16) ამაპიურხორენ მიხეილის ძე, 17) მელიქიანი პირონ მარტიროსის ძე, 18) სიმონიანი ხაჩატურ აკოფის ძე, 19) ბარსეგიანი ალექსანდრე მოსეს ძე, 20) ტანდიკიანი ზერი გასპარის ძე, 21) ტოროიანი არშეს ილიას ძე, 22) გაბრიელიანი სირიპ მინასის ძე, 23) კასპარიანი არტემ ხაჩატურის ძე, 24) ალექნიანი ნიკოლოზ ამბარცუმის ძე 25) მდიკანიანი ლეონ გიორგის ძე, 26) კარაპეტიანი ხაჩატურ კარაპეტის ძე, 27) ზარგარიანი მიხეილ ნიკიტის ძე, 28) ტერ-არუთიუნიანი გარეგინი იოსების ძე, 29) მუტაფიანი ერვანდ სააკის ძე, 30) ოგანეზიანი პეტრე სოლომონის ძე, 31) დატიკიანი კიროპ კარაპეტის ძე, 32) ამირახიანი აგაბეკ მიკირტის ძე და 33) ამასპიური მიხეილ მიხეილის ძე.

### მე-2 ჯგუფი.

1. ანჯაფარიძე ანდრია მაქსიმეს ძე; 2. ბერიშვილი პავლე ამბროსის ძე; 3. ბაბუნიშვილი პავლე კონსტანტინეს ძე; 4. ვადაჭკორია ექვთიმე იასონის ძე; 5. ვადაჭკორია პავლე ნიკოლოზის ძე; 6. გოგუაძე რაფიელ ოქროპირის ძე; 7. ჯანელიძე ნიკოლოზ სოლომონის ძე; 8. დგებუაძე დიომიდე ივანეს ძე; 9. დოლიძე რამიტონი სილიბისტროს ძე; 10. ქორქოლიანი ბიქტორ გიორგის ძე; 11. კარგარეთელი შალვა დავითის ძე; 12. კეკელიძე ანდრია გრიგოლის ძე; 13. კრაწაშვილი ვლადიმერ ზაქარიას ძე; 14. კანდელაკი კონსტანტინე ექვთიმეს ძე; 15. კობახიძე სიმონ ალექსის ძე; 17. ლომთათიძე ქსენია ეგორის ძე; 18. მალარაშვილი ზოსიმე ზევარის ძე; 19. ნინიძე ყარამან მიტროს ძე: 20. მანალაძე ბაგრატ გიორგის ძე; 21. ფარქოსაძე სტეფანე კოტეს ძე; 22. ტუსკია გრიგოლი მავრის ძე; 23. ტუსკია ლავრენტი მილენტის ძე; 24. თოხაძე გაბრიელ ესტატეს ძე; 25. კუროხიშვილი შალვა გრიგოლის ძე; 26. ხურცილავა ტერენტი გიგოს ძე; 27. ხარატიშვილი ისიდორე დომენტის ძე; 28. ხევცურიანი აკაკი გრიგორის ძე; 29. ცხოველიძე სიმონ ივლიანის ძე; 30. ჭუბაბრია ვლადიმერ ილარიონის ძე; 31. ჭავჭანიძე ვალერიან ერასტის ძე; 33. ჩხაიძე არონ სილიბისტროს ძე; 34. ჩიჯავაძე ფარნაოზ კონსტანტინეს ძე.

საგანგებო კომისიის თავმჯდომარე

**კვანტალიანი.**

## გაზაფხული

გადნა თოვლი, მოკვდა ზამთარი;
ზეიმობს დილა გაზაფხულისა;
დაიხჩვა ზამთრის ძლიერი ქარი,
გაისმის ლხენა დაჩაგრულისა.

ისმის ციხიდან ბორკილის მტვრევა,
ისმის ქართველთა ვაშა და ტაში,
გვესმის მხეცების კვნესაა და რბევა
გვესმის მუშების აყვანა ცაში!

ისმის ქუჩაში ქართულ სიმთ ჟღერა;
ყველგან ყვავილით მორთეს ქარხანა;
გაისმის ყველგან მუშურ სიმღერა:
დადგა მუშების დიადი ხანა.

ტკბება მუშები თავის უფლებით,
სადარაჯოზე თვით მუშა დგება.
მუშურ დროშებით ქართულ ჰანგებით,
სამოთხის კარებს იგი აღგება.

კვლავ მოევლინა ქართველთ უფლება,
მსოფლიოს მიერ მონიჭებული.
შეიჭრა მასშიც მზის განათლება,
სჩანს მომავალი გაბრწყინებული.

**ინტელიგენტი მუშა.**

## ნიკ. ბარათაშვილის შესახებ

ეს ამბები მე მიამბო გრიგოლ გურიელმა, კაცმა დიდად განვითარებულმა და კარგად მცნობმა ნ. ბარათაშვილისა. ამ ამბების ადრე გაზ. „ივერიაშიც“ დავბეჭდე და ეხლა შევავსე სხვა ცნობებით რაც საყურადღებო უნდა გახლდესთ ნ. ნ. ბარათაშვილის ცხოვრების აღნუსხვაში.

გრიგ. დავითის ძე გურიელი სამხედრო გენერალი გახლდათ და დიდად მოყვარე საქართველოს ერის საქმეების. აი მისი ცნობები:

მე და ნ. ბარათაშვილი კარგი ამხანაგები ვიყავით და სკოლაშიაც ტფილისში ერთ სკამზედ ვისხედით, ნ. ბარათაშვილის უფრო კარგი ამხანაგი იყო სოლ. დოდაშვილი და კიკნაძე ბერი. ნ. ბარათაშვილს სხვაც ბევრი ამხანაგები ჰყავდა მაგრამ ყველაზედ უფრო მე ვიყავ მასთან დაახლოვებული.

ერთხელ მე და ნ. ბარათაშვილი 2-ის ამხანაგით სოფ. დიღმისკენ წავედით, იქ სოფლის გლეხები ვნახეთ. ნ. ბარათაშვილი ამ გლეხებთან მივიდა და სალამი მისცა, მერე ჩვენც მიგვიყვანა იმ მუშებთან. ამ დროს გლეხები სადილისათვის ემზადებოდნენ. ნ. ბარათაშვილს სადილზედ დარჩენა სთხოვეს. ის დარჩა, ჩვენც დავრჩით იქ.

ნ. ბარათაშვილი გლეხების შუა ჩამჯდარა. გრიგოლ გურიელმა სთქვა: ქართველი გლეხების ეს ჩემი პირველი ნახვა იყო და ამიტომ მათ სადილის ჭამას სიამოვნებით უყურებდითო. გლეხებს სადილად ლობიო მოეხარშათო. ყველა მუშას წინ ედგა დიდი ჯამი, ამ დიდრონ ჯამებზედ დაისხეს ლობიო, მერე შიგ ჩაყარეს პური და თითო კაცმა ეს დიდი ჯამი ლობიოთ და პურით სავსე სულ შეჭამეს, ასეთი ჭამა თუ იცოდნენ ქართლის გლეხებმა, ეს მე არ ვიცოდი და ამან ერთობ გამაკვირვა.

ასეთი ჯამით სავსე ლობიოს იმერეთში სამი კაციც ვერ შესჭამდა. ნ. ბარათაშვილმაც ასევე ერთი ჯამი ლობიო გაათავა გლეხებთან, იმათებურად ღვინოც დალია სადღეგრძელოებით. ნ. ბარათაშვილი გლეხებს გლეხურის კილოთი ელაპარაკებოდა და სადღეგრძელოებსაც მათებურად სვამდა, გლეხებთან ლაპარაკი მისი იყო მეტად ტკბილი და მოსაწონი. გლეხები ხშირად ეტყოდნენ: ღმერთმა გაცოცხლოთ ბატონო და სხვა ასეთი სიტყვები.

ნ. ბარათაშვილს ტფილისში სახელი ქონდა გავარდნილი, რომ ნ. ბარათაშვილი პატრიოტულ ლექსებს სწერსო. მართლაც მას ბევრი ისეთი ლექსები ქონდა ნაწერი, სადაც თანამედროვე დრო მოკლებული იყო. 1833 წ. ტფილისში გავრცელდა ერთი დიდი ლექსი, სადაც მთავრობა ძაგებული იყო და მასთან იქებოდა ძველი დრო. ამ ლექსის დაწერა სხვა და სხვა პირთა ჩვენებით თუ დაბეზღებით ნ. ბარათაშვილმა დასწერაო.

ამიტომაც ნ. ბარათაშვილს აშავ 1833 წ. სახლი გაუჩხრიკეს, ამიტომ მან შიშით ბევრი თავის დაუბეჭდავი ლექსები დასწვა, ამ დროს მე მასთან ვიყავი სახლში და არ ვიცოდი ჩხრეკის ამბავი, ნ. ბარათაშვილმა როცა ლექსების დაწვა დაიწყო, მაშინ გვიამბო დაწვის მიზეზი და გაჩხრეკის მოლოდინი.

ამ დროს, მან დასწვა ბევრი ისეთი ლექსის ხელთნაწერი, რომლის სამაგიერო მას აღარ დაუწერია. ასეთი ლექსების ცნობებს თვითაც ამბობდა ხოლმე, რომ მე ლექსები დავწვი და მათი დაწერა—აღდგენა ვეღარ მოვახერხეო.

აქ ცოტათი უნდა შევჩერდეთ მოთხრობილის ამბების წესით და ახლა სხვა ცნობებიც უნდა დაურთოთ, რაც ნ. ბარათაშვილის ცხოვრების გასაცნობად არ იქნება მეტი.

გიორგი გურიელის სიტყვით ნ. ბარათაშვილი გაუჩხრეკიათ 1833 წ. ვიცით კიდევ, რომ ნ. ბარათაშვილი გაუჩხრეკიათ 1832 წ. ოქტომბრის თვის ბოლოს რიცხვებში, ეს გაჩხრეკა მომხდარა „ფარული საზოგადოების“ წევრთა გაჩხრეკის და დაპატიმრების შემდეგ. ისიც ვიცით, რომ ამ ჩხრეკის დროს ნ. ბარათაშვილის ლექსებიც იქმნა წაღებული და გასინჯული. ისიც ვიცით, რომ 1832 წ. ჩხრეკის შემდეგ, ნ. ბარათაშვილს ლექსები არ დაუბრუნეს უკან. ამის მიზეზები რა იყო, ლექსები თუ წინაალმდეგი შინაარსის იყო, მაშინ ნ. ბარათაშვილსაც დაიჭერდნენ, მაგრამ დაჭერა არ იქმნა, ალბათ ლექსეაი ან არ გასინჯეს და ისე გაუსინჯავი მოსპეს, ან წაართვეს და დამალეს, ასე რომ ამ ლექსების ცნობა ხელთ არა გვაქვს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ნ. ბარათაშვილი, ისეთი გულისა და გრძნობის კაცი იყო, ისეთი ბოლმით სავსე და ვარამის მქონი, რომ იგი ისე ცოტა ლექსებს არ დასწერდა, რაც კი დღეს ჩვენ ხელთ გვაქვს. უეჭველია პოეტს ლექსები მრავლად ექნებოდა ნაწერი, მაგრამ მისდა საუბედუროდ, ორის ჩხრეკის დროს მისი ლექსები ერთი ნაწილი თვით ნ. ბარათაშვილისაგან იქმნა დამწვარი, მეორე ჩხრეკის დროს რამდენიმე ლექსი წართმეულ იქმნა და თან წაღებული, ვიცით კიდევ მესამე შემთხვევა, პოეტის ვახ. ორბელიანისაგან ნაამბობი, რომ ერთ დღეს ნ. ბარათაშვილის და ჩემი ლექსები მამა ჩემმა ბუხარში ცეცხლში ჩაყარა და დასწვაო, ეს ამბავი ვრცლად ავნუსხე თვით პოეტის ვახ. ორბელიანის ბიოგრაფიაში.

ამის გარდა ჩვენ ისიც ვიცით და ეს მოთხრობილია თვით 1830 წლის ქართველი ასოთ-ამწყობთაგან, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსებს ს. დოდაშვილიც ბეჭდავდა თავის გაზეთში 1831 წლიდამაო. ეს ცნობა მიამბო გ. არეშიძემ, რომელიც ნ. ბარათაშვილის თანამედროვე პირი იყო და ვისგანაც ვ. კვარიამ იყიდა ამ კაცისაგან თვით ნ. ბარათაშვილის ხელთ ნაწერი ლექსები რვეულიც. ნ. ბარათაშვილს მეტად მშვენიერი ხელი ჰქონია, განსაცვიფრებელი თითქმის. ნ. ბარათაშვილი რომ მთავრობის წინაშე საეჭვო პირათ იყო მიჩნეული, ეს ცხადი საქმეა და მთავრობის წინაშე ისიც იყო ცნობილი, რომ პოეტი ნ. ბარათაშვილი მთავრობის წინაალმდეგ ლექსებსაც სწერსო. ამის გარდა იგი ამხანაგია ს. დოდოშვილის, კიკნაძე ბერის და სხვა ასეთ პირებისაო, რომელნიც არ არიან კეთილ პირად ცნობილნიო. ამიტომაც იყო თურმე რომ ნ. ბარათაშვილს არ აძლევდენ კარგს სამსახურს, კარგს ალაგს, იგი ამით დიდათ იყო დაჩაგრული და თითქმის დაღონებულიც. დამხმარენიც კარგი ჰყავნდა თურმე, მაგრამ ს. დოდოშვილის ხსენების წყალობით, არსად არაფერს ალაგს არ აძლევდენ, ეს გარემოება და ისიც 1830 წლებში, ერთობ საკვირველია ჩვენთვის, მაგრამ თუ გარემოებას დავაკვირდებით, მაშინ აქ საკვირველი აღარა იქნება რა, რადგანაც ს. დოდაშვილი 1832 წლის შემდეგ ისეთ საშინელ პირად იცნეს, მის მეგობრებს კი არა და თვით ნაცნობებსაც კი თვალ ყურს ადევნებდენ და სჩხრეკდენ, ამიტომაც საკვირველი აღარ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ს. დოდოშვილის ნაამხანაგებს ნ. ბარათაშვილს საქართველოში მცირე სამსახურის თანამდებობა ეკავა.

ესევე გარემოება გაკვრით დასახელა თვით ნ. ბარათაშვილის ისეთმა მცნობმა, ვისთანაც თვით [illegible] ამ პირისაგან [illegible] ამბებსაც დავსტავბავთ.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ნ. ბარათაშვილის ბევრი ლექსები უნდა იყოს დაკარგული. ამას ეჭვი არ უნდა. ერთ მის პოემა სახელათ „ივერიელნი“ სწოდებია, რომელსაც თვით პოეტის ნაამხანაგარი ღენერალი კ. მარცაშვილიც ასახელებს ნ. ბარათაშვილის მოგონებაში.

**ზ. ჭ.**

## მოწაფის ხმა

რევოლიუციონურ მოძრაობაში დასაფასებელი ღვაწლი მიუძღვის ქართველ რევოლიუციონურ ახალ—გაზრდობას, რომელსაც მუდამ სწამს, რომ დადგება ისეთი სანატრელი დრო, როცა მშრომელი ხალხი დასძლევს წინ შემოჩხებულ გრგოლებს, როცა იგი მიაღწევს ბრწყინვალე გამარჯვებას და ლტოლვით განუსაზღვრელი, ბრძოლის სიმღერებით, აღფრთოვანებული შეიჭრება ალთქმის ტკბილ ქვეყანაში... ალთქმის ქვეყანაში, რომლის ხილვისთვის იბრძოდენ ხალხის საუკეთესო შვილები და ცხოვრების მღელვარე ზღვაზე, დიდი მიზნით ამოძრავებულნი შეუდრეკლად ეცემოდენ ცხოვრების ჩარხის უკულმართ ტრიალით დამარცხებულნი...

ქართველ ახალგაზრდობაში მუდამ იყო და არის რევოლიუციონური სული; ქართველი ახალ გაზრდები ნუდამ შეუდრეკელად იდგენ და დგანან თავის წმიდა სადარაჯოზე; ახალგაზრდები მუდამ პირნაოლად ასრულებდენ და ასრულებენ მოვალეობას სამშობლოსა და მშრომელი ხალხის წინაშე!

საქართველო იშვიათი ქვეყანაა! საქართველო ბრძოლის მზარეა. საქართველომ შესანიშნავი შვილები მისცა დიდ რევოლიუციას და საქართველო გულის ძგერით მოელის მის გაღიმებულ მომავალს!

საქართველომ გადაიტანა ბნელი ღამეები; იგი მუდამ ამაყად იდგა და იბრძოდა...

საქართველო დღესაც იბრძვის, დაღლილობა მას არასოდეს დამჩნევია და არც დღეს ემჩნევა! საქართველოს აქვს დიადი ისტორიული წარსული და ამ წარსულით ამაყოფს იგი; ამის უფლებაც აქვს.

ქართველი ახალგაზრდებიც საქართველოს ღირსეული შვილები არიან და კარგათაც ესმით თავიანთი მოვალეობა!

მეოცე საუკუნე მსოფლიო ისტორიაში გამოფხიზლების, აღორძინების ხანად უნდა ჩაითვალოს?!

საერთო გამოფხიზლებას არც ქართველი ერი ჩამორჩა! ქართველმა ხალხმა კარგა ხანია ხელი მიყო კულტურულ აღორძინებას! პირველ ხანებში ხელს უშლიდა მას მრავალი დაბრკოლებები; ამათ შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს საქართველოში რუსეთის 117 წლის ბატონობას.

არც დღეს არის კულტურული აღორძინებისათვის კარგი ნივთიერი პირობები. მაგრამ არის საერთო დაუზარებელი მუშაობა და ეს დიდ იმედებს გვაძლევს! კულტურულ აღორძინების დროს აუცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლებლებს, ტეხნიკუმებს. დღეს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლებლებს და მასწავლებლებს, რომ კარგ პირობებში უხდებოდეს მუშაობა ერთსაც და მეორესაც.

დღეს ბევრი ქართველი ახალგაზრდა მოწაფეა, ცხადია რომ, თუ ახალგაზრდობა ჯანსაღია, როგორც ფიზიკურად. ისე გონებრივად, მაშინ ერის მომავალიც ბრწყინვალე იქნება. დღეს ტეხნიკუმებში ნაკლებია კულტურული მუშაობა; მარტო საგნებით, მარტო კლასიკური ცოდნით ცხოვრებაში ვერც ერთი ახალგაზრდა ვერ გაიმარჯვებს, საჭიროა სხვაც. საჭიროა ტეხნიკუმებში არსებობდეს სხვა და სხვა წრეები, სადაც მოწაფეები გავარჯიშდებიან და განვითარდებიან.

ვერც ერთი შეგნებული მოწაფე ვერ ასცდება საზოგადო საქმეებს!

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მასწავლებლებსაც; დღეს იშვიათად მოიპოვება ნამდვილი მასწავლებელი ნამდვილი აღმზდელი. მასწავლებელი მოსწავლეების სულიერი მამა არის და და არც ერთ პიროვნებას არ აქვს დაკისრებული საზოგადოების მიერ ისეთი დიდი და მძიმე მოვალეობა, როგორიც მასწავლებელს! ყველა უნდა ვერიდოთ ტეხნიკუმებში რეაქციონური სულის გამეფებას!

ყველამ ხელი უნდა შეუწყოთ ტეხნიკუმების კულტურულად აღორძინებას, თორემ ქართველი ახალგაზრდები ცხოვრების თვალგადაუწვდენელ ველზე მალე დავმარცხდებით!

ტეხნიკუმებში, მოსწავლეებში კულტურულ მუშაობას ხელი უნდა შეუწყონ თვით მასწავლებლებმა.

სტუდენტობა, თუმცა დღეს დიდ გაჭირვებას გამოცდის მატერიალურად; მაგრამ სტუდენტებს მეტი გამოფხიზლება ეტყობათ!

დღეს იშვიათად შეხვდებით ისეთ მოწაფეებს, რომელიც დაკმაყოფილებული იყოს ეკონომიურად; ამასთან ერთად ცხადია, რომ მოწაფეების უდიდესი ნაწილი სოფლელები არიან. მთავრობამ მიუხედავათ პროგრამისა, რომ სოციალისტურ ქვეყანაში სწავლა-განათლება უფასო უნდა იყოს, რომ ყველას შეეძლოს სწავლა,—სწავლის ფასი შემოიღო. ალბად ისე შეუძლებელი შექნა ტეხნიკუმების შენახვა.

მხოლოდ მე მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო ერთ გარემოებაზე. ეს არის მოწაფეების მოგზაურობა მატარებლით.

სოფლელ მოწაფეთათვის აუცილებელი ხდება სახლში წასვლა—წამოსვლა განსაკუთრებით დღესასწაულებზე. და ეს მგზავრობა ჩვენთვის შეუძლებელი ხდება. მართალია მთავრობამ დაგვიკლო მატარებლის ბილეთის ღირებულობაზე 25 პროცენტი, მაგრამ სად უნდა ვიშოვნოთ დანარჩენი ფულები; როცა ჩვენს უმრავლესობას წიგნების ფული ვერ უშოვნიათ და ამის გამო სკოლაში უწიგნოდ დადიან. ერთი მითხარით ვის უნდა შეერგოს მოწაფის, გინდ სტუდენტის გაცვეთილ ჯიბიდან ამოღებული ფული?

მოწაფეები ღარიბები არიან და მის გამო ხშირად მოგზაურობენ უბილეთოდ. მოწაფეებთან ერთად სტუდენტებიც.

მათ ხშირად იჭერენ, ჭაჯარიმებენ, ემუქრებიან და სხვა. სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს ამ წამებას.

ნუ თუ მთავრობას არ შეუძლია, რომ მოწაფეებს და სტუდენტებს მიანიჭოს უფლება მატარებელზე მოგზაურობის 50 პროც. დაკლებით.

მიაქციეთ ყურადღება ჩვენს ძახილს!

**ლ. კობაძე.**

## შეკითხვის მაგიერ

მასწავლებელთა ჯამაგირების განსაზღვრა, როგორც ვიცით ხდება უმთავრესად იმის მიხედვით, თუ რომელ სარტყელშია მოქცეული ესა თუ ის სამოსწავლო რაიონი. სამტრედია ამ შემთხვევაში, როგორც ვიცით, ეკუთვნის ისეთ სასარტყლოს, რომელიც იღებს ყველაზე ნაკლებ ჯამაგირს. და ეს ხდება მაშინ, როცა სამტრედიაში ცხოვრება გაცილებით ძვირია, ვიდრე ტფილისში ან თუ გნებავთ ბათომში. სამტრედიაში გირვ. პური ღირს 40,000 მან. ხოლო ტფილისში 10,000, როგორც გაზეთებში სწერია, შაქარი სამტრედიაში 400,000 მან. ხოლო ტფილისში 200,000 მან. ნავთი გირვ. 36,000 მან.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ ვკითხულობთ:

რომელ მიზან შეწონილობით აიხსნება სამტრედიის ჯამაგირების მხრით უკანასკნელ სარტყელში მოქცევა?

შეიძლება აქ ჩვენ ასეთ უბადრუკ დებულებასთან ვაქვს საქმე: რახან სამტრედია პროვინციაა, იქ ცხოვრება იაფი იქნებაო.

ყოველ შემთხვევაში ამას ყურადღების მიქცევა სჭირია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი

**დადგენილება № 72**

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოსი სათამაშო ქაღალდის (კარტის) გამოცემის შესახებ.

1. ნება მიეცეს ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში გამოსცეს სახმარებლად სათამაშო ქაღალდი (კარტი), ქართული ტიპიური სურათებით.

2. აკრძალულ იქნეს უცხოეთში (არასაბჭოთა რესპუბლიკაში) დამზადებული სათამაშო ქაღალდის გაყიდვა საქართველოს საზღვრებში.

3. პირველ მუხლში აღნიშნული სათამაშო ქაღალდის მთელი წმინდა შემოსავალი მოხმარდეს საქართველოს რესპუბლიკის კულტურულ მიზნებს.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

**მ. ორახელაშვილი**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

**ალ. ხალარიძე**

1923 წ. იანვრის 30.

ტფილისი—სასახლე

## ცირკულიარი

სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაზე დატოვებულ ყველა სახელმწიფო დაწესებულებათ და წარმოებათ.

1923 წ. იანვრის 30 დღესა.

სოციალურ დაზღვევისათვის ადგილობრივ დამზღვევ კასების საპროცენტო ანარიცხების გადახდის წესების შესახებ.

1923 წ. 1 თებერვლიდან სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაზე დატოვებული ყველა ცენტრალური (სახკომის.) დაწესებულებანი და წარმოებანი ვალდებული არიან ადგილობრივ დაწესებულებათა (სამაზრო განყ. და სხვა ორგანოთ) სამუშაო ხელფასის დანაწილების დროს, გაანაწილონ აგრეთვე სოციალური დაზღვევისათვის სათანადო თანხაც, რომელიც უნდა შეტანილ იქნეს მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა მიერ, ადგილობრივ დამზღვევ კასაში.

ამასთანავე გეუწყებათ, რომ დამზღვევ კასაში კუთვნილ ანარიცხის შეტანის უკანასკნელ ვადათ ითვლება საანგარიშო თვის თანამომდევნო 7 რიცხვი, რის შემდეგაც, ვადა გასულ დღისათვის ანარიცხს მიეთვლება საურავიც, ამის გამო თქვენ მიერ, თავის დროზე უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები ადგილობრივ ორგანოებისთვის საჭირო თანხის დროზე გადაგზავნისათვის.

იმ ცენტრალურ დაწესებულებათ, რომელთაც 1923 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში არ შეუტანიათ სოციალურ დაზღვევისათვის გასაწევი ხარჯი, დაუყოვნებლივ უნდა გამოითხოვონ დამატებით.

წარმოება-დაწესებულების მიერ ანარიცხის %-ის რაოდენობას, შრომის პირობათა მავნებლობის და საშიშროების ხარისხების მიხედვით, განსაზღვრავს საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 15 იანვრის „დამზღვევ ტარიფის ხარისხთა განაკვეთის შესახებ“ საგანგებო დეკრეტი.

საქ. ს. ს. რ. სახლხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

**მ. ორახელაშვილი**

ა. კ. შრომის სახ. კომ. რწმუნებული საქართველოში

**ალ. იაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

**ალ. ხალარიძე**

### წერილი რედაქციის მიმართ

**მადლობის გამოცხადება**

მოქ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა მიუძღვნა **ზია ეფენდი კარალიძეს** და **იბრაჰიმ ბაიძეს**, რომელთაც ჩემი მძიმე ავადმყოფობის დროს გულუხვი ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს და აგრეთვე შეინახეს უპატრონოთ მიტოვებული ჩემი წიგნები და ხელნაწერები.

**ირ-დი**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

# განცხადება

საქართველოს დამშეულთა დამხმარე

## მთავარი კომიტეტი

აცხადებს საბჭოთა დაწესებულებების და მოქალაქეთა საყურადღებოდ,

**რომ თანახმად კომიტეტის დადგენილებისა**

## შეწყვეტილია

**პერსონალური დახმარების აღმოჩენა გარდა დამშეულ-დაზარალებულ მაზრების და რაიონებისა და ყოველგვარი შუამდგომლობანი და თხოვნები ამის თაობაზე კომიტეტის მიერ განხილული არ იქნება.**

3—2 მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

## ალმასკომის გადასახადთა ბიურო

**ამით აცხადებს, რომ პარასკევს, 2 თებერვალს, შუადღის 12 საათზე ინიშნება საჯარო ვაჭრობა მუნიციპალიზაცია ქმნილ ბაკებზე ალმასკომის საკრებულო დარბაზში.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. თუმანოვის ქუჩა | № 1 | 11. დესიმონოვის მოედანი | №№ 21/23 |
| 2. ვარანცოვის ქ. | № 28 | 12. „ „ | № 25 |
| 3. დესიმონოვის მოედანი | № 31 | 13. თივის მოედანი | № 1 |
| 4. კახეთის ქ. | № 40 | 14. ჩერქეზიშვილის | № 44 |
| 5. „ | № 38 | 15. პოსტოიალის შეს. | № 3 |
| 6. „ | № 8 | 16. პოდვოდნი შეს. | № 6 |
| 7. „ | № 6 | 17. „ „ | № 5 |
| 8. „ | № 12 | 18. პოსტოიალის შეს. | № 2 |
| 9. „ | № 36 | 19. საბურთალო რაზმაძის ბაკი, | |
| 10. სუფსარქისის შესახვევი | № 2 | | |

ყოველივე პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელიარიაში.

286 3—2

## ქ. ტფილისის ექიმების საყურადღებოდ

## ქალ. ტფილისში მყოფი ექიმები, როგორც სამსახურში მყოფნი, აგრეთვე კერძო პრაქტიკის მქონენი

## ვალდებულნი არიან

**დაუყოვნებლივ აცნობონ ტელეფონით ან წერილობით ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას ყოველგვარ გადამდებ ავადმყოფობის შემთხვევის შესახებ.**

ველიამინოვის ქ. № 3, ტელეფონი 9-12. 3—3 385

# განცხადება

## თანახმად ტფილისის ქალაქის აღმასკომის დადგენილებისა,

## სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კომისია ამით აცხადებს:

1) ყველა მოქალაქენი, რომელთაც არ შემოუტანიათ თავის დროზე სამოქალაქო გადასახადი, იხდიან გადასახადს 1 თებრვლიდან ახალს კურსით და ორმაგათ.

2) მანეთის კურსი 1 თებერვლიდან 10 თებერვლამდე, თანახმად ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის დადგენილებისა, დაწესდეს 400.000 მანეთი.

3) ამ კურსის მიხედვით 1 თებერვლიდან 10 თებერვლამდე იხდიან:

**ა) 50 კაპ. ოქრ. გადამხდ. 200 000 მან. ქ. ნ.**

**ბ) 1 მან. „ „ 400 0 0 „**

**გ) 1 მ. 5 0 კ. „ 6 0 0.000 მ.**

**დ) 3 მ. „ „ 12 0 0.00 მ.**

## 4) მუშა-მოსამსახურენი (პროფ. კავშირის წევრები) რომელთაც 31 იანვრამდე არ ქონდეთ მიცემული დეკემბრის ჯამაგირი,

**იხდიან სამოქალაქო გადასახადს 10 თებერვლამდე ძველი კურსით, საურავ დაუდებლად და გაუდიდებლად. აღნიშნული პირნი მოვალენი არიან სპეციალურ მოწმობებზე იქონიონ წარწერა—ამის შესახებ სათანადო დაწესებულებათაგან და წარმოადგინონ გადასახადი, პირადობის და სპეციალური მოწმობების თანდართვით სამისამართო ცენტრ. მაგიდაში, როზა ლიუქსემბურგის (ყოფ. შტაბის) ქუჩა № 2.**

სამოქალაქო გადასახადის გამტარებელი კ ო მ ი ს ი ა

2—2

## ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 28 დეკემბრის № 16

# დეკრეტის

## ცხოვრებაში გასატარებელი

# წ ე ს ე ბ ი

## ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს

**მიერ დამტკიცებულს 1922 წლის 28 დეკემბრის თარიღით და № 16 დეკრეტის მე-2-რე მუხლის ძალით**

## ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებულმა საქართველოში დაამტკიცა შემდეგი

# წ ე ს ე ბ ი

1. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის 28 დეკემბრის თარიღით 16 №-ს დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად არსდება სახალხო ბანკთან: 1) საიპოთეკო განყოფილება: თბილისში—თბილისის საადგილ-მამულო ბანკის და თბილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების მიერ გაცემულ სესხთა ლიკვიდაციისათვის, და ქუთაისში—ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მიერ გაცემულ სესხთა ლიკვიდაციისათვის და 2) საიპოთეკო განყოფილებათა გამგეთა თანამდებობანი: თითო გამგე თვითეულ განყოფილებასთან.

2. სახალხო ბანკის საიპოთეკო განყოფილებათა და მათ გამგეთ შესანახ ხარჯებს ეწევა სახალხო ბანკი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოზე მიწერილ ანგარიშით. გამგეებს ნიშნავს და მათ ჯამაგირებს საზღვრავს ამიერ კავკასიის ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში. განყოფილებათა შტატებს და ხარჯთ-აღრიცხვას ამტკიცებს სახალხო ბანკი—საქართველოში ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებულთან შეთანხმებით.

3. წესრიგი განყოფილებათა ანგარიშისა, საქმის წარმოებისა და ანგარიშის გასწორებისა ისაზღვრება ბანკის გამგეობის მიერ. განცხადების, ანგარიშების და მოწმობათა ფორმებს იმუშავებს სახალხო ბანკის გამგეობა და ამტკიცებს ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში.

4. მსესხებელს, რომელსაც სურს გამოისყიდოს თავისი მამული, შეაქვს, სახალხო ბანკის საიპოთეკო განყოფილებაში სათანადო განცხადება (ფორმა № 1).

5. განყოფილება ადგენს ანგარიშს დეკრეტის № 16-ს მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად და კონტროლიორის შემოწმების და განყოფილების გამგის დამტკიცების შემდეგ უდგენს მსესხებელს წერილობითი თანხმობის ჩამოსართმევათ (ფორმა № ).

6. მსესხებლები, რომელნიც 1923 წლის პირველ მარტამდე შემოიტანენ განცხადებას მამულის გამოსყიდვის შესახებ, არ იხდიან ჯარიმას იმ დრომდე სანამ არ მიიღებენ ზემო-აღნიშნულ წესის მე-5 მუხლში გათვალისწინებულ ანგარიშს.

7. იმ მამულებზე, რომელთა შესახებ თანახმად მე-4 მუხლისა არ იყო შემოტანილი განცხადება, სახალხო ბანკის საიპოთეკო განყოფილებათა ანგარიშს ადგენს შეძლებისდაგვარად, მაგრამ ყოველ-შემთხვევაში მამულების საჯარო გაყიდვის განცხადებამდე და მათზე გაწერილ შემოსატან ფულის გადახდა სწარმოებს საზოგადო წესით.

8. ვადიან და სხვა შემოსატან ფულის გადახდა შეიძლება სახალხო ბანკის ყველა განყოფილებებში ცალკე კვიტანციებით, რაიც უნდა ეცნობოს სათანადო განყოფილებას თბილისში ან ქუთაისში.

9. დამგირავებელი ვალდებულია სესხის გაქრობამდე დააზღვევოს თავისი მამული; დასაზღვევი ჯამი უნდა იყოს არა ნაკლები გამოსახსნელის ძირითად ვალის ნაშთისა და 10 პროც. ზედ დართვით.

10. ვალის გაქრობის შემდეგ მსესხებელს ეძლევა ამის მოწმობა (ფორმა № 3) ყველა საბუთები უბრუნდება და დაუყოვნებლივ ეცნობება უფროს ნოტარიუსს აღკრძალვის მოხსნის შესახებ.

**შენიშვნა:** მოწმობაში უნდა იყოს აღნიშნული, რომ ეს მამული თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა 1922 წლ. 28 დეკემბრის თარიღით და 16 №-ით გამოყიდულია უწყებულ ვადებში და ჯამში.

11. თუ მსესხებელს სურს ვადამდე გადაიხადოს მთელი ვალი მას თანახმად № 16 დეკრეტის მე-6 მუხლისა ჩამოეწერება 20 პროც. გადასახად ვალის რაოდენობიდან.

**შენიშვნა:** ამ მუხლის მიერ გათვალისწინებულ შემთხვევაში ანგარიშის შედგენა, შემოწმება და დამტკიცება ხდება ამ წესთა მე-5 მუხლის თანახმად.

12. თუ მსესხებლების მიერ აღძრულია დასაბუთებული შუამდგომლობა მისგან გადასახად ვალის შემცირების შესახებ, მამულის იმ მდგომარეობის გამო, რომელსაც იგულისხმებს დეკრეტის № 16 მე-4 მუხლის ბოლო, საიპოთეკო განყოფილების გამგე არკვევს მამულის მდგომარეობას მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთან ერთად, მცოდნე პირთა საშუალებით.

**შენიშვნა:** მამულის მდგომარეობის გამოსარკვევად გაწეულ ხარჯების დასაფარავად მსესხებელი იხდის ძირითად ვალის ნაშთის ნახევარ პროც. ქ. ტფილისის და ქუთაისის სესხებზე, დანარჩენ ქალაქების სესხებზე კი 1 პროც.

13. თანახმად ამ წესთა მე-12 მუხლისა მამულის მდგომარეობის გამორკვევის შემდეგ, განყოფილების გამგე თავის დასაბუთებულ დასკვნას უდგენს დასამტკიცებლად ამიერ-კავკასიის ფინან. კომისარის რწმუნებულს საქართველოში, რომლის რეზოლიუციით წინათ შედგენილი ანგარიში იცვლება ახალით.

**შენიშვნა:** 1 შუამდგომლობა ვალის შემცირების შესახებ ამ წესთა მე-11 და მე-12 მუხლების თანახმად შეიძლება იყოს აღძრული ყოველთვის, სანამ მამულზე ირიცხება ვალი.

**შენიშვნა:** 2. შუამდგომლობის აღძვრა ვალის შემცირების შესახებ არ ანთავისუფლებს მსესხებელს იმ ჯარიმის (პენია) გადახდისაგან, რომელიც ნახსენებია დეკრეტის № 16 მე-7 მუხლში.

1—1 № 289 **ა/კ ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველო.**

ტირაჟი 700

საქართვ. ფინანს. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.